



ანახტასია თუმანიშვილი-წერეთლისა. ქანდაკება მ. კიაურელისა.

მეზაღე

(თავორედან)

კარის კაცი. წყალობის თვალთ გადმომხედე მონა მორჩილსა...

დედოფალი. უკვე გათავდა დარბაზობა დედოფალისა,
მსახურნი ჩემნიც აიშალნენ სადარბაზოდან,
რისთვის მოხველი, ყმაო ჩემო ასე უდროვოდ.

კარის კაცი. მსახურნი შენნი გავიდიან შენი სავანით,
მე დავრჩი ერთი.. მომეხალა ჟამი თხოვნისა...

დედოფალი. რას ელოდები დედოფლისგან?—
დაიგვიანე...

კარის კაცი. შენს ყვავილნარში, სად ყვავილნი ამოდ შლილობენ,
მომეც ადგილი მებალისა...
გკადნიერდები..

დედოფალი. უცნაურია, ეგე შენი სავედრებელი!

კარის კაცი. უარს ვყოფ ჩემსა მხედრობასა, ჩემსა დიდებას
შუბსა, მახვილსა მოელვარეს—კუთხეს მიუჩენ.
დაე, მტვერმა და მდუმარებამ პირი მოჰკვეთოს..
ნულარ წარმგზავნი დასაპყრობად უცხო ადგილთა,
ნულარ წარმგზავნი შორეულსა სასახლეებში...
ნულარ..

ო, ნულარ..

აქ დამტოვე შენს ყვავილნარში...

დედოფალი. და რა იქნება, სამსახური ესრედ ნაირი?

კარის კაცი. ბილიკს მტილისას, სად ჰნარნარებ განთიადისას,
მარადლე მწვანით და სიცოცხლით ავაზაფხულებ;
და შენსა ნაბიჯს თვითეულსა, ბაღის ყვავილნი,
წყნარად მთვლემარე—სიკვდილზედან მეოცნებენი
ქებათა სიტყვით და ღალადით შეეგებიან..
ო, საბჭაპარნის ტოტების ქვეშ ხელოვანებით,
გავაბამ შენთვის საქანელას.. ნაზად დავარწვე
მთვარეც ეცდება, ფურცლებიდან ჩამოიპაროს
და დავიკოცნოს სამოსელის თეთრი კალთები..
ლამპარსა შენსა, სარცელთან ფერად მგზებარეს
ავავსებ ზეთით—სურნელოვან ნელსაცხებელით...
ავაჩუქურთმებ შენს ფეხის სკამს ფერადებითა
ზაფრანის ფერით და ხანტალით ავაღამაზებ,
რათა უკვირდეთ ხელოვანების უცნაურება..

დედოფალი. რაი მოვავო, საფასური, სამაგიერო?

კარის კაცი. ნება მომეცი ხელში ვიპყრა თითები შენი,—
როგორც ლოტოსნი გაფურჩუნლნი გაზაფხულისას
და ყვავილების სამაჯურით შევამკო იგი..
შენი ფლოსტები—მშვენიერი—წითლად შევდებო,
აშოკის კოკრის და ფურცელთა წითელ წვენითა..
მხურვალის კოცნით მოვაშორო მტვერი შენს ფერხთა
რაიც შემთხვევით, მიემთხვევა მგზავრობისას!..

დედოფალი. სურვილი შენი—უცნაური, ვით არ აღსრულდეს?
ამიერიდან განვაწესო ბაღის მებაღელ..

გ. ლეონიძე.

ირლანდიის აჯანყება



ჯონ ლარკინი
ირლანდიის აჯანყების პირველი (1913 წ.) მეთაური.



სერ რაჯერ კაზმენტი
რომელსაც სიკვდილი აქვს მისჯილი.



გრაფის მეუღლე მარკევიჩისა
მეამბოხე რაზმის ბელადი.

უბედური რუსი

(ქარგა ისტორიული)
შალვა დადიანისა.

თავი პირველი

ა.

თბილისელი სოცდაგარი ზანქან ზო-
რაბაბელი მიემართება ქ. სუნჯისაკენ.
საქართველოდან მას უდიდესი საქ-
მე აქვს მინდობილი.

აგერ სუნჯაც.

ყივჩახტა სატახტო ქალაქი, ძველი
პოლოვეცის სამთავრო.

უზარმაზარი, ხის ნამორებისაგან
მკიდროდ შემომესრილია საკმაო ფარ-
თო ეზო. ჯარგვალის ოთხ-კუთხიანი
კოშკები ოთხსავე მხარეს საფრებად
არის აგებული. გარშემო ეზოს უშვე-
ლებელი არხი აქვს შემოვლებული და
შიგ ხელოვნურად გადმოყვანილი სუნ-
ჯა მოჩუხჩუხებს.

ეზოს შუაგულ, ჯარგვალისავე ორ-
სართულიანი, აიენიან-კიბიანი სასახ-
ლეა გაშენებული. სასახლის სარკმლე-
ბი წითლად და ყვითლად არის მო-
ჭიქული და ისეა დაქუცტილი თითქო
მონგოლელის ელმაცერა თვალეზიაო.
სასახლის თავზე კი ოქროს ბიბილო-
ვანი ხის მამალია სარზე ჩამოცმული.

აქ შედის ზანქანი.

მაგრამ სასახლის შინა-ყმებს მთავა-
რი შესავალიდან კი არ შეჰყავთ, არა-
მედ იმ პაწია კარებიდან, საიდანაც
მოუკაკველი ვერას გზით ვერ შეხვალ.
ზანქანს გულში ეცილება.

რამდენჯერ გაუვლია ამ კარებში და
ეს აზიური ზვიადობა ყოველთვის ღი-
მილსა გვრის;

— ვითომ მეფესთან წელ-გამართუ-
ლი შესვლა არავინ გაბედოსო!— ასე
არ არის საქართველოში. იქ მეფის
კარი ფართოა, მაღალი. ყველანიც
ესეთ კარებით შეჰყავთ. თითქო შემ-
სვლელიც და დამხვედრიც ლაღია და
თავისუფალიო... მას შემდეგ მაინც,
რაც თამარმა ახალი სასახლეები ააგო.
თავისუფლად სუნთქავ იქ კაცი, სული
აღარ გეხუთება... ამისთანა კარები
ისევ ზოგიერთ წვრილ მთავრებსა და
ერისთევებს თუ აქვთ: გაძალდებენ თავი
მოიხარეო...

და, აი, აქაც ამ ფიქრებით თავ-და-
ხრილი შედის ვიწრო დარბაზში.

ხედავს ტაბლა გაშლილი. პურად
იღებენ.

სუფრას ყიფჩაყთა მეფე, რუსის
მთავარის ანდრეი ბოგოლიუბსკის
ერთგული ყმა კუზმა და კიდეც რამო-
დენიმე ხან-დაზმული კარის-კაცი უს-
ხედან.

— ვინ არის?

ხმაურობაზე მოიხედა ყიფჩაყთა მე-
ფემ.

— ოო, ეს ჩემი უფლის-წულის მო-
ყვარე ყოფილა!— შენიშნა კუზმამ—ვი-
ციოთ რაზედაც მოვიდოდა, მაგრამ,
პატივცემულო, ეხლაც ნადრევი შე-
გექმნა მოსვლა... ესეველოდის მემ-
კვიდრეები კიდეც უფრო გამაგრდნენ
და ჩემი უფლისწულს მომხრეებიც
ნელ-ნელა შემოგვეფანტნენ... ეეჰ!

და უშველებელის ხის კაობით მოი-
ყულა თათლის რანგი და ბოლომდე
დასცალა. შემდეგ გრძელ, თეთრ ულ-
ვაშებზე ვაჟკაციური ხელი გადაისვა.

ზანქანმა ზრდილობის გამო ულვა-
შების მოწმენდა დააცალა და შემდეგ
უთხრა:

— შენ კარგად იყავ, ჩემო კუზმა
და რაზედაც სწუხარ, მაგაზე ეხლა არ
მოგსულვარ. მეფეო, ძალიან სასიხა-
რულო ამბავი მოგართვით.

აქამდის ზანქანს უყურადღებოდ
ეპყრობოდნენ სუფრაზე მსხდომნი და
ეხლა კი ყველამ თავი მისკენ მოი-
ბრუნა.

სასიხარულო?

შეგვიანებით წარმოსთქვა მეფემ.

— დიად, ბატონო!.. სადა ბრძან-
დება თქვენი ნათესავი უფლისწული
იურიო?

— ეეჰ, იმისას რას გაიგებს კაცი.
დამთხვეულია... სანადიროდ იქმნება
სადმე წასული.

— ახალგაზდაა...— მოფერებით წა-
რმოსთქვა ზორაბაბელმა— მაგრამ დი-
დი ბედი კი მოელის...

როგორ?

თითქმის ერთსა და იმავე დროს
იკითხეს სუფრასთან მსხდომთ. იგრ-
ძნეს, რომ რალაც მოულოდნელი და
თან მეტად დიდებული ამბავი უნდა
გაეგოთ. ზანქანის გამოცდილება, ხან-
დაზმულობა და ის მოსაზრებაც, რომ
ეს სოცდაგარი ამ სიშორეს ტყუილად
არ გაირჯებოდა, კიდეც მეტს ცეცხლს
უკიდებდა მათ ცნობისმოყვარეობას.

ზანქანი კი თითქო არა ჩქარობდა
სინამდვილის გამოძიებას.



პრპ. ალ. ნებურიშვილი.
(დაჭრილია)

— უნდა წაგართვათ, ბატონო, უფ-
ლისწული იურიო...

კიდეც უფრო მოიზიდა მშვილდი
შეტყობისა, საცნაურ-ყოფისა.

კუზმა შემოწყრა კიდეც:

— თავს ნუ იგდებ, ბებერო, სთქვი,
რაც იცი...

ზანქანმა ჩაახველა, თითქო გრძელი
რამ ამბის მოსათხრობელად ემზადე-
ბაო, იქაურებს ერთი მშვიდად თვალი
გადაავლო და დაიწყო:

— რამდენჯერ მითქვამს შენთვის
კუზმა, რომ ცხრა მთას იქით... ო,
ღმერთო, რამდენი მთაა გადმოსასე-
ლელი!.. დიად, სწორედ რომ ცხრა
მთას იქით... მდებარეობს მშვენიერი
ქვეყანა ივერია, ანუ საქართველო,
როგორც ამ ბოლო ჟამს უწოდეს...
ამ ქვეყნისა თვით ყიფჩაყთა შეფესაც
კარგა მოეხსენება...

— ჰო, ეგ ვიცი, მერე?

კვლავ წყრომით შეუტია უფლის-
წულს ლალამ.

— ჰო და მოგახსენო, ეხლა ჩვენი
საქართველო...

— როგორ? განა შენ ქართველი
ხარ?

— ეეჰ, რომ არ დამაცლი, კუზმა,
ახირებული კაცი ხარ... რამდენჯერ
მითქვამს, რომ მე დიდებული არმე-
ნიის შთამომავალი ვარ, მაგრამ ჩვენი
სამეფო დიდი ხანია დაეშო და ეხლა
საქართველოც ჩემი სამშობლოა...

— დააცალე, კუზმა!

შეუძახა მეფემაც.
— ეხლა ის უნდა მომეხსენებინა,
რომ ამ ჟამად ჩვენს ქვეყანას ქალი
მართავს... ქალია მეფედ... დიდი გი-
ორგი მესამის ასული თამარ...

ზანქანმა ამოისუნთქა. მსმენელთ
ჯერ კიდეც ვერაფერი ვერ გაეგოთ და
დაუინებით შესცქეროდნენ,

— ამ დედოფალს კი ქმარი არა
ჰყავს...

კარის კაცებს ოხვრა აღმოხდათ.
თითქო მიაგნეს მორგვის ძაფრათ. მე-
ფე მაინც გაციუნებული იყო, მხოლოდ
კუზმა თვით დაყრდნობოდა თავის
ფართო ხელებს და შეკმუხვნილ შუბ-
ლიდან ქროლა თვალებით გამოსცქე-
როდა თბილისელ სოცდაგარს.

სოცდაგარი განაგრძობდა:

— ჰქონდათ თათბირი ქართველ
დიდებულებს, ხშირი ბჭობა იმართე-
ბოდა და ბოლოს გადასწყვიტეს, რომ
თამარისათვის საქმრო მოეძებნათ, მა-
გრამ ვინ?... მთელი სამეფო შეინძრა.
უცხო ხელძღვის შვილები ბლომად
მოდოდნენ და უნდოდათ თამა-
რის შეუღლება, მაგრამ ქვეყანამ ვერც
ერთი ვერ შეიწყნარა: ზოგი ქრისტი-
ანი არ იყო, ზოგ სიბრძნე არ შეს-
დგამდა, ზოგიც თვალად უსახური
იყო. ამასობაში მე ვეახელ თბილისის
ეძირს... ოო, დიდი კაცია, თავადი...
ქვეყანია, ჩვენი კაცია, ქურთია გა-
სომხებული... მიაშინა თქვენთვის...
თავადი აბულ-ასანი... და შოგახსენე;
ეგეო, რუსეთში დიდი მთავრის, ახ-
ლოგი ბოგოლიუბსკის შვილი იურიო
მშვენიერი ვაჟია, ქრისტიანიც არის-
მეთქი...

— დაგწყევლოს ღმერთმა!.. ეგ რა
კარგი მოგიფიქრია!..

წამოძახა კუზმამ და სახე გაბრ-
წყინებულმა თავიდან ხელები ჩამოი-
ლო...

— ჰა, შე ცბიერო სოცდაგარო, შე-
ნა... მიაყოლა ყიფჩაყთა მეფემ... ვიცი
რა მუცლის გვრეძაცა გაქვს. გინდოდა
ქართველებიც მოგეძლიერებინა,
ჩვენც და შენი ფულეებიც გაგენადლე-
ბინა... იურიო რომ ძართებს შენი...
სამასი თუმანი ბაჯალლო ოქრო...

კუზმა კვლავ ძოილუშა. ზანქანმა
კი ცბიერად ჩაიქიჩილა და პირ-მცი-
ხარემ უპასუხა მეფეს:

— ვერ დაგიძალავთ, ეგ აზრიც
მქონდა... რა ვქმნა, ვაჭარი კაცი ვარ.
სამასი თუმანი ბაჯალლო ოქრო დიდი
რამ არის, დიდი.

და თვალეები სადღაც შორს წაუფი-
და ზანქანს, თითქო მეტად თავ-სამ-
ტრევი რამ აქვს გადასაწყვეტიო. მა-

თუზ-ხევისურთა ტიპები



გრამ ეს იყო ერთ წუთს და კვლავ მომღიმარი ესე განაგრძობდა:

— თქვენ ყური დამიგდეთ შემდეგ რა მოხდა: ერთ თათბირზე მოვიდა აბულ-ასანიც და კრება ესე დაარწმუნა: ანდრეი ბოგოლიუბსკის შვილი დიდი მთავარია, სამასი რუსის თავადი მონებსო. მე კი, მომიტევეთ და, გულში გაგიფიქრე, როგორ იტყვი თქვენ რუსებო? — „კაკოი ჩორთ...“ სამასი მთავარი კი არა...

და ჩაიცინა ზანქანმა, მაგრამ სიცილი უეცრად ბაგეზე მიაკვდა.

ბოგოლიუბსკის გამზრდელმა ერთი ისე მძლავრად დაარტყა მუშტი ტაბლას. რომ რამდენიმე კათხა ჯამი ქვევით გადაცვივდა და თვით ტაბლამაც საეჭვო ტრიალი მოიღო.

— გვყვანდნენ! — შეჰყვირა მან. თბილისელი სოვდაგარი ცხრაფად

მოიკაკვა და შემპარავის კილოთი კვლავ წამოიწყო:

— არა, თავად აბულასანს ქართველებისთვის არ დაუშალავს: მცირე დარჩომილი მამისაგან თავადი იური ბიძა მისმა ესეველოდმა, ან როგორც საქართველოში ეძახიან სავალათმა განაძევა და ეხლა ყიფჩაყთა შეფესთან არის თავ-შეფარებულიო. ეს იმათ არ უთაკილნიათ, რადგან იმათ, რომ თა-

ვადი იური ქრისტიანი მეფის შვილი იყო და რა კი გული დააჯერეს, რომ შესახედათაც კარგიაო, მაშინ ამ საქმის მოგვარება მე მომანდევს...

კუზმა უკვე რალაც ფიქრს წაიღო. დანარჩენებს კი სიხარული გადაჰფენოდათ.

— მერე? — მაინც შეეკითხა მეფე.

— მერე, ბატონო, ეხლა ისა მაქვს შონდობილი, რომ უფლისწული წავიყვანო.

ყიფჩაყთა მეფე აღტაცებაში მოვიდა. ხან-დახმულ კარის კაცებმა ბეწვნიანი, გრძელი ქუდეები ჭერში ჰკრეს. მხოლოდ კუზმას თეთრი, სქელი წამწამები კიდევ უფრო ჩამოუქურუხანდნენ.

გამხიარულებულმა მასპინძელმა ბრძანა, რომ ზანქანისათვის ხალათი ეჩუქებინათ. სავარძელი მოართმევინა, ტაბლასთან, თავის ახლო მიიწვია და თავის ხელით მოჭრელებულს კათხაში თაფლის რანგი ჩაუსხა.

მეფემ მხოლოდ ეხლა შეამჩნია, რომ კუზმა ხმას არ იღებდა:

— შენ, ეი, ძმობილო!—შესძახა მეფემ—რა ცხვირ-პირი ჩამოგტირის! ჩემს მოყვარესა და მოკეთეს აღირსოს უგეთი ბედი!.. შენ გესმის რა ბედნიერება მოსვლია შენ ბლარტს იურიას? შე მინახავს თამარი... ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც, მამა მისმა გიორგიმ მის სიცოცხლეშივე ტახტზე მეფედ დასვა... აქედანაც ვეახელით მისალოცათ და საჩუქრებიც მივართვით... თვით მე წავივალ, მინდოდა საქართველო მენახა. ის ქვეყანა, სადაც ჩვენი ვაჟკაცები ამ უცხო მხარის საკეთილდღეოთ სისხლსა ღვრიან.—გნახე და იცი, რა ვითხრა? დაბრუნება აღარ მინდოდა. ოოჰ, რა ქვეყანაა! იმიტომ არის, რომ ჩვენები, უმეტესობა აღარ ბრუნდებოდა, იქვე ბინავდებოდა, ირთავს ცოლს, მამულს იძენს, ქართველდება... რას ამბობ, ჩვენ სადა ვცხოვრობთ, რა შედარებაა... მზიანი ქვეყანა, ნაყოფიერი ქვეყანა, მდიდარი, ლამაზი... მართლა, რომ სამოთხეა და აი... ამ სამოთხის საუკეთესო ანგელოზი თამარია...

— კი მაგრამ შორსაა... ყრუთ წარმოსთქვა ბოგოლიუბსკის აღმზრდელმა.

— ჰა, ჰა, ჰა! გაეცინა მეფეს და ახარხადნენ სხვებიც.

— მე ჩემს იურიას რუსის თავადათ ვზრდიდი...

წამოიწყო ისევ კუზმამ.

— მერე? რომ წაგართვის ეგ შენი რუსეთი?—რას ამბობ, რას?! დიდებულის ქვეყანა, მზეთუნახავი ცოლი..

ზორაბაბელი კი ამ დროს ტაბლასთან მიმჯდარი, ნამგზავრზე, ხარბად შეექცოდა სანოვანს და მისი ცბიერი თვალები დაუდგრომლად ციმციმებდნენ.

— კარგია ერთი, თავი აიღე, გამოსცალე ეგ კათხა!—

შემოსწერა კუზმას ვიფჩაყთა მეფე. კუზმაც დაჰყვა მეფის სურვილს, ერთი მძლავრად ხელი ჩაიჭნია, დასცალა კათხა და თითქოს გამხიარულდა.

მეფის ბრძანებით იურიასთან კაცი აფრინეს მოსაყვანად, რადგან ზორაბაბელი ძლიერ იჭარბოდა.

იმან აუხსნა მეფეს, რომ უკვე შემოდგომა იწყება, საცაა შეიძლება ჩრდილოეთის სუსხმა დაკრას და მგზავრობა გაძნელებდებოდა. მას მართალია გრძელ-ვადიანი პაემანი მისცეს, მაგრამ მაინც ეშურება, სანამ ამინდი ხელს უწყობს ვადამდე მოასწროს და საქართველოს ჩაიყვანოს სასიძო უფლისწული.

ყიფჩაყთა მეფის სასახლე შეინძრა. თავად იურიას დიდებული მომავალი ყველას სასიხარულოდ მოეფინა. მძლავრ სახელმწიფოს, საქართველოს მომავალ მეფისაგან ვინ წყალობას გამოელოდა, ვინ მეგობრობას, ვინ რისამე გამოჩინას და ერთ ფაცი-ფუც-

ში იყენენ, თანაც ყველა ზორაბაბელს ულოლიავებდა და თავაზ ანობით ეპყრობოდა.

ზანქანი კი დაღლილი მგზავრობისაგან, ცალკე ოთახში ლოგინზე განისვენებდა, მაგრამ ძილი მაინც არ ეკარებოდა მის თვალებს.

აგერ კვირა ნახევარზე მეტი იქმნებოდა რაც გზაშია და ჯერაც ვერ მისულა გონს უაკანასკნელი ამბების გამო. სულ ამის ფიქრშია:

— რა ადვილად მოხერხდა ყოველივე.—თბილისის ამირამ როგორ გამოუწყო მას ეს საქმე... არა, ამირასაც კი დაჰპირდა, რომ მისი ქალისათვის ჩინეთიდან აბრეშუმის ქსოვილებს მოუტანს, მაგრამ მაინც... არ მოელოდა თუ აბულარინი ესე ადვილად გაიმარჯვებდა. არა, ძალიან ხალხი კია ეს ქართველები: მომნდომი, გულ-კეთილი, დამჯერებელი. თუმცა მართლმად იქნდა ითქვას: უფრო ამ რუს თავადის ქრისტიანობამ, მართლმადიდებლობამ მოხიბლა ყველანი. მაგრამ ჰმ... ესეც რა ყოჩაღათ მოახერხა აბულასარმა, რომ აქ მოციქულად მარტო მე გამომგზავნა?—დიდებულნი დაარწმუნა: საკადრისი არ არის, რომ თამარის საქმროს საძებრად მოციქულები და დესპანები გაუგზავნოთ... ვინ იცის? რომ არ მოგეწონოთ კაცი?—ისევ ჩვენი ზანქანი გაუფშვავთ, სოვდგარი კაცია, მისვლა-მოსვლა აქვს ქვეყნებში. ეგ მოახერხებს, ჩამოიყვანს იმ უფლისწულს უზეიმოდ, უდავიდარაბოთ. არ მოგეწონებთ და... თავის გზას ეწევა ის კაცი... თუმცა ღმერთმა ნუ ქნას, რომ არ მოეწონოთ... ეს გზის ხარჯი ხარჯათ შემრჩება და თავნი ფულიც თავ სამტვრევად გამოხდება... თუმცა სად წამივლენ? ეს საქმე რომ არ მოხერხდეს ყიფჩაყის

მეფე აგერ არა მყავს?—მაცანს გასდგას დღეინებ. ცოტა განძი შემოაქვთ ყიფჩაყელებს საქართველოდან.—ეგენი ხომ იქ დაქირავებულ ჯარისკაცებად მსახურებენ. როგორ უწოდებენ ქართველები? ჰო როქის პირნი... მაშ როგორა ჰკონათ! აქამდი თუ ვიცდიდი იმედი მქონდა, რომ თავადი იურიას მის სამფლობელოს დაიბრუნებდა. პირვილადაც ფული იმიტომ ვასესხე რომ რა ვიცი... დრონი იცვალენ, მეფის შთამომავალია-მეთქი, თორემ აბა როგორ არ ვიციოდი, რომ სამშობლოდან გამოდევნილი, გამეფებულ მთავრის შვილი იყო. ეხლა კი ესეთი საქმე ეწყობა.—ჰმ.—რა სათქმელია! ჩემ ფულს კი არა, რამდენს ავიღებ... მეფის კარზე ჩემისთანა მიღებული ვინ იქმნება!..

და კიდევ უფრო შორს გაიტაცა ზანქანი ზვიადურმა ფიქრებმა, მაგრამ უეცრად წინანდელმა მოსაზრებამ ისევ გველივით უკბინა:

— მერე? რომ ჩავიყვან და მართლაც არ მოეწონოთ?—ხომ ჩაიფუშა ყველა საამაყო განზრახვანი?—ეჰ, რას არ მოეწონებთ! ქართველებს თვალში აქვთ ქეჟა! შეხედავენ—ვაჟკაციაო, იამებათ. ვაჟკაცობას ძალიან აფასებენ... ეს კია მგონი ცოტა ღვინო უყვარს ჩვენს სიძე-ბატონს... ეჰ, მე არ ვიქმნები მასთან? სანამ ჯვარს არ დასწერენ არ მივაკარებ და შემდეგ თავი უმტვრევია მაგასაც და...

უკვე რიყრაჟმა მოაწია. ზანქანს ჩასთვლიმა.

შალვა დადიანი. (შემდეგი იქნება)

თბ. ქართ. გიგნ. ლარიზ მოწ. მზრუნველ კომისიის პრეზაზი

31
1.20
40
4
31
31
4



კრების აპოთეოზი—გამოცანა, ანუ ვინ ვისკენ!